1877—1895

№ 103

ხუთშაბათი, 18 მაისი 1895

# ივერია

№ 103

ხუთშაბათი, 18 მაისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 20 მაისს

ქართული თეატრი.

კვირას, 21 მაისს, 1895 წ.

ქართულის თეატრის რეჟისორის თანაშემწის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულის დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ზ. რატილის ხორის მონაწილეობით

I

პირველად ახალი პიესა

ვეფხის-ტყაოსანი

დრამა 5 მოქმედ. და 7 სურ. შოთა რუსთველის „ვეფხის-ტყაოსნიდგან“, სასცენოდ პროზად გადაკეთებული. ტარიელის როლს შეასრულებს ს. ზ. სვიმონიძე. ნესტან-დარეჯანის როლს შეასრულებს ვ. ნ. მელიქიშვილისა.

II

იჭვიანი

ვოდ. 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენი: ქ.-ქ. მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელიშვილისა, რჩეულიშვილისა; ბ. ბ. სვიმონიძე, გედევანიშვილი, მარჯანიშვილი, ცაგარელი, ადამიძე, იანქოშვილი, თამაზიშვილი და სხვანი.

დასასრულ

ლეკური.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზედ.

## ტფილისი, 18 მაისი.

—

ბანკის საზოგადო კრებათა წესრიგის შეცვლას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საკვირველი არ არის, თუ კრება გამგეობის მიერ წარმოდგენილს პროექტს საჭირო სიფრთხილით მოეპყრო და მის განხილვას თითქმის სამი სხდომა მოანდომა. ამ საქმესაც თავისი მოკლე ისტორია აქვს. 1886 წლის კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო წესდების იმ მუხლების განხილვა, რომელნიც საზოგადო კრებათა წესრიგს შეეხებიან. ერთის წლის შემდეგ კომისიამ წარუდგინა კრებას პროექტი, რომლითაც განზრახული იყო ბანკის ყველა დამფუძნებელთა და მსესხებელთა კრების მაგიერ წარმომადგენელთა კრების შემოღება. მაგრამ მაშინ კრებამ არ სცნო საჭიროდ პროექტის განხორციელება იმ მოსაზრების ძალით, რომ ცამეტის წლის გამოცდილებას არ უჩვენებია არსებულის წესის უვარგისობა, ან საყურადღებო რამ ნაკლულევანება. უკანასკნელს წლებში მთავრობამ თვით მიაქცია ყურადღება, რომ ზოგიერთ საკრედიტო დაწესებულებათა საზოგადო კრებათ ესწრება მეტის-მეტად ბევრი წევრი და ეს გარემოება ხშირად ხელს უშლის ბანკების საქმის ნორმალურს მიმდინარეობას. ამის გამო სამინისტრომ საჭიროდ სცნო საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიმღებთა რაოდენობის შემცირება და ამისთვის უმჯობეს საშუალებად წარმომადგენლობის წეს-რიგი აირჩია. როგორც რუსეთის გაზეთები გვატყობინებდნენ, წელს ფინანსთა სამინისტრომ წინადადება წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს და ითხოვა—უფლება მიეცეს სამინისტროს თვისის ნებით შესცვალოს ხოლმე საკრედიტო დაწესებულებათა საზოგადო კრებათა წეს-რიგი.

ტფილისის ბანკის, ისე როგორც ქუთაისის, დაარსების საგანი იყო შექმნა ისეთის საკრედიტო დაწესებულებისა, რომელსაც შესძლებოდა თავად-აზნაურთა მრავალგვარის საზოგადო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მხოლოდ ამ საგნის ასრულებისთვის თავად-აზნაურობას უმაღლესად ებოძა 160 ათასი მანეთი და ბანკის დამფუძნებელთაც დასდეს თავისს მხრივ დიდი მსხვერპლი. ბანკის დაარსების ხსენებული საგანი ტფილისის ბანკს სხვა საკრედიტო დაწესებულებათა შორის განსაკუთრებითს ხასიათსა და ფერსა სდებს. აი, ამ განსაკუთრებულ მდგომარეობის დაცვამ აიძულა როგორც ბანკის გამგეობა, ისე თავად-აზნაურობაც, თვით მიეღო საშუალება წესდების იმ მუხლების შეცვლისათვის, რომელთ უვარგისობას ყურადღება მთავრობამაც მიაქცია. საჭირო იყო ისე შეცვლილიყო საზოგადო კრებათა წეს-რიგი, რომ ბანკმა არ დაჰკარგოს, ან არ დაჩაგროს ის საგანი, რომელიც ასულდგმულებდა მის დამფუძნებელთ. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად შემუშავდა ორი პროექტი: ერთი თავად-აზნაურობის მარშლისა, მეორეც ბანკის გამგეობისა. ორივე პროექტს საჭიროდ დაუნახავს ახლანდელის საზოგადო კრების წეს-რიგის შეცვლა. თუ აქამდის საზოგადო კრება შესდგებოდა ბანკის ყველა წევრთაგან, ამიერიდგან ორივე პროექტს განზრახული აქვს' რომ ამ წევრებმა საზოგადო კრებაზედ მხოლოდ წარმომადგენლები გზავნონ. განსხვავება ორ პროექტთა შორის შემდეგია: მაშინ როდესაც გამგეობის პროექტი წარმომადგენლობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ბანკის წევრებს, ესე იგი დამფუძნებელთ და მსესხებელთ, თავად-აზნაურობის პროექტი ამათ გარდა უფლებას ანიჭებს თავად-აზნაურობას, როგორც დაწესებულებას. ორივე პროექტს სახეში აქვს დაიცვას ბანკის განსაკუთრებული მდგომარეობა. გამგეობის პროექტი ამ საგანს ამ გვარად ასრულებს: წარმომადგენელთა რიცხვი 200 კაცია, რომლიდგან 125 დამფუძნებელი და 75 მსესხებელია, ხოლო თავად-აზნაურობის პროექტი თავად-აზნაურობამ თავის მხრივ 50 წარმომადგენელი უნდა იყოლიოს ბანკის კრებაზედ. ვნახოთ, ახლა როგორი სჯა და კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ და პროექტმა და როგორი დადგენილება მოახდინა კრებამ.

ლალი.

—✦✦—

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 21, მაისს, ქართულის თეატრის რეჟისორის თანაშემწის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში დანიშნულია წარმოდგენა პირველად ახალის პიესისა „ვეფხის ტყაოსანი“ დრამა ხუთ მოქმედებად და „იჭვიანი“ ვოდევ. თავ. რაფ. ერისთავისა.

თუმცა ა. თამაზიშვილი არ ეკუთვნის ჩვენს სცენის უკეთეს არტისტთ, მაინც ისე თავგანწირულად და სრულის სიყვარულით ემსახურება ჩვენს სცენას აგერ რამდენიმე წელიწადია, რომ მისი სახელი, ვგონებთ, ყველა სცენის მოყვარულს ქართველს კარგად უნდა ეცნობოდეს. მუშა ხალხი ხომ მუდამ თანაგრძნობითა და აღტაცებით ეგებება ხოლმე ა. თამაზიშვილის თამაშობას სცენაზედ. ვის არ უნახავს იგი სცენაზედ ლაქია-მოსამსახურეების როლში სწორედ ისე და იმ მოხერხებითა და დაკვირვებით მოთამაშე, როგორც-კი თვით ცხოვრება გვიჩვენებს ხოლმე. სწორედ რომ ზედ-მიწევნითა აქვს ამ არტისტს შესწავლილი სული და გული ამ უბრალო, მაგრამ მოსამსახურობაში გაეშმაკებულ ხალხისა.

ამისათვის, უეჭველია, საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ წარმოდგენას და მით დაამტკიცებს, რომ იგი (საზოგადოება) ერთნაირად აფასებს როგორც დიდს ნიჭს ისე საქმის ერთგულს მსახურსაც.

*** ქართულ წიგნების გამომცემელს ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს „ამირან-დარეჯანიანის“ დაბეჭდვა, რისთვისაც გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ვისაც ამ წიგნის ხელთ-ნაწერი მოეპოვება, დროებით ათხოვოს მას. ხელთ-ნაწერი გამოჰგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში.

*** სამშაბათს, 16 მაისს, ტფილისის სასამართლოების მოხელეებმა და ნაფიცმა ვექილმა „კრუჟოკის“ საზაფხულო სადგომში გამოსამშვიდობელი სადილი გაუმართეს სენატორს ა. ფ. კონს, რომელიც კავკასიის სასამართლოების სარევიზიოდ იყო ჩამოსული. სადილი დაიწყო ნაშუადღევის ხუთს საათზედ და ასამდე სული დაესწრო. იყვნენ, სხვათა შორის, სამხედრო სასამართლოს მოხელენი და აგრეთვე საპატიო სტუმრად მოწვეული სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი. რამდენიმე სადღეგრძელო და სიტყვა წარმოსთქვეს კონის შესახებ სასამართლოების მოხელეებმა, ნაფიც ვექილების მხრივკი ბ-ნმა ოპოჩინინმა ილაპარაკა. დასასრულ სენატორმა კონიმ მიჰმართა სასამართლოების მოხელეებს და შეაქო მათი შრომის მოყვარეობა და მხნე, ერთგული სამსახური. სადილმა საღამოს რვა საათამდე გასტანა და ძალიან მხიარულად ჩაიარა.

გუშინ, 17 მაისს, საღამოზედ, სენატორი ა. ფ. კონი კავკასიიდგან პეტერბურგს გაემგზავრა.

*** 11 მაისს თელავში მოვიდა ტფილისის გრიგორიანთა ეპარქიის

---

## ფელეტონი

—

### სომხები ახალციხე-ახალქალაქის მხარეში.

ახალციხე-ახალქალაქის მაზრა ამ ჟამად დასახლებულია სხვა-დასხვა ტომისა და სარწმუნოების ხალხით. აქა სცხოვრებენ: ქართველები (მართლ-მადიდებლები, კათოლიკები და სუნიტები), სომხები (გრიგორიანები და კათოლიკები), ქურთები (სუნიტები), თარაქამები (სუნიტები), რუსები—დუხობორები, ბერძნები და ებრაელები. უძველესნი მკვიდრნი მცხოვრებნი, რასაკვირველია, ქართველები არიან, მხოლოდ დანარჩენნი სხვა-და სხვა დროს და სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან შემოსულნი და დამკვიდრებულნი. სახელდობრ, სომხები შემოვიდნენ ამ ქვეყანაში არზრუმის საფაშოდგან მე-XIX საუკუნის დასაწყისში, შემდეგ იმისა რაც გენერალ პასკევიჩმა 1828 წ. აგვისტოს 15-ს აიღო ახალციხე და 1829 წლის ადრიანოპოლის ხელშეკრულობით მთელი ეს ეხლანდელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრა ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო.

როგორცა სჩანს, სომხები მომეტებულ ნაწილად დასახლებულან თვით ქალაქ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის სოფლებში, რადგანაც ეხლაც სომხები უფრო მომეტებულად ამ ადგილებში სცხოვრებენ. ყველა ეს კარგი და პატიოსანი! სომხები შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, უკეთესი ადგილები დაიჭირეს, უკეთესად მოაწყეს თავიანთი ყოფა-ცხოვრება და სხ.; ყოველივე ესე, რასაკვირველია, ჩვენთვის სასიამოვნო და სასიხარულოა; ამგვარი წარმატება და კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის ხალხისა ფრიად სასიამოვნოა და არასოდეს ეს გარემოება ჩვენ საწყენად არ უნდა დაგვრჩეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მოსული სტუმარი რანაირად მოეპყრო თავისს გულ-კეთილს და სტუმართ-მოყვარე მასპინძელს—ქართველებს, რანაირი დამოკიდებულება გამოუცხადა თავისს მხრივ იმას, რომლის სახლშიაც მან იპოვნა მყუდრო ბინა და მყუდროდ მოაწყო თვისი ყოფა-ცხოვრება, დააფასა თუ არა სტუმარმა სიკეთე თვისის მასპინძლისა? უნდა გამოგიტყდე გულის-ტკივილით, მკითხველო, და გითხრა, რომ სტუმარმა არ დაინახა და არ დააფასა გულ-კეთილობა თვისის მასპინძლისა; უნდა გითხრათ, რომ სომხები ვერ მოექცნენ ქართველებს ისე, როგორც უნდა მოჰქცეოდნენ.

ხშირად გსმენია ახალ-ციხის ქართველებისაგან: ეხლა რა არის, შედარებით წინანდელს დროსთან ბედნიერები ვართო; წინად არზრუმელების (აქაურს სომხებს არზრუმელებს უწოდებენ, რადგანაც არზრუმიდგან არიან გადმოსახლებულნი) შიშით ქუჩაში თავისუფლად ვერ გავიდოდითო.

ნაშთები ჩვენის ძველის ხელოვნებისა და განათლებისა ხომ ლამის არის სულ მთლად დაისაკუთრონ: ერთი ნაწილი ძველის შესანიშნავის ქუმურდოს ტაძრისა ჯავახეთში სომხებს თავიანთ ეკკლესიად აქვთ გადაკეთებული და იქ ასრულებენ ამ ჟამად ღვთის მსახურებას, ტაძარს ძველი წარწერები აქვს ხუცურად, მხოლოდ საშიშია, რომ ეხლანდელმა მისმა პატრონებმა (სომხებმა) არ გააქრონ იგი. ჩვენ მიერ ტაძრის დათვალიერების დროს მოვიდა ადგილობრივი სომხის მღვდელი ჩვენთან და გვიჩვენა ტაძარს შიგნით ერთი ქვა, რომელიც ნახევარზედ კედელშია დატანებული და ნახევრადღავე სჩანს. თუმცა ჩვენ ვერ გავარჩიეთ სიბნელისა გამო, ზედწარწერა არის თუ არა, მაგრამ თვითონ მღვდელმა დაგვარწმუნა, რომ ეს ქვა წარწერილიანი არისო, მხოლოდ წარწერა ნახევრადღავე სჩანსო. ეჭვი არ არის, რომ ეს ქვა შემდეგშია ჩატანილი კედელში, როდესაც სომხებს თავიანთთვის მოუწყვიათ აქ ეკკლესია.

ეს გარემოება იმას გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება დანარჩენი წარწერილიანი ქვებიც სომხებმა ამგვარადვე ჩაატანონ სადმე კედელში, ან სრულიად მოსპონ ზედ-წარწერები და ამგვარად სამუდამოდ დაგვიკარგონ ისტორიული მასალა.

კიდევ კარგია ქუმურდოს ტაძარს კიდევ შერჩენია ქართული წარწერები, თორემ სომხები პირდაპირ გვეტყოდნენ, ეს ეკკლესია ძველადგანვე ჩვენი ყოფილაო. ამგვარი მაგალითებიც ხშირია ამ მხარეში: ახალციხეში, ქალაქ გარედ, მდ. ფოცხოვის მარჯვენა კიდეზედ გაშენებულია ორი პატარა ძველი ეკკლესია, რომელთაგან ერთი-კი ვიცით დაბეჯითებით წმ. გიორგის სახელზეა, მხოლოდ მეორეც ისევ ამის სახელობაზეა თუ სხვა წმიდანისა, დარწმუნებით არ ვიცით. თვით ადგილს, სადაც ეს ეკკლესიებია გაშენებული, მოღნისი ეწოდება და ამისათვის ეკკლესიასაც ხალხი უწოდებს მოღნისს, ანუ მოღნისის ეკკლესიას. ზაფხულობით ძალიან ბლომად დაიარება ამ ეკკლესიაში ხალხი, როგორც გრიგორიანები, ისე მართლ-მადიდებლები და კათოლიკებიც. სომხებმა ამ ბოლო დროს დაიწყეს სიარული. წინად თურმე ისინი, როგორც გამიგია მოხუცებულებისაგან, სრულებით არ

მმართველი გეურქ სურენიანი. აქაური სომხობა დიდის ამბით მიეგება.

*** 21 მაისის საბავშვო დღესასწაული, რომელიც ბ-ნს ფორკატის უნდა გაემართა სახაზინო თეატრის ბაღში, 28 მაისისათვის იქმნა გადადებული; ამიტომ პროგრამმა დღესასწაულისა უფრო ვცელი და დიდი იქმნება. ბაღში იქმნება გამართული ილიუმინაცია და ფეირვერკი. („ტფ. ფურც.“).

*** პ. იოსელიანის მიერ აღწერილ „მეფე გიორგის ცხოვრების“ დასაბეჭდად და დასაკვეთად რედაქციას მოუვიდა ოცის წიგნის ფული ბათუმიდგან ბ-ნ ლავრენტი ბერძნიშვილისაგან და მიხაილოვიდგან ბ-ნ ვასილ ჭელიძესაგან ორის წიგნის ფული. ხელის-მომწერთა სია წიგნის ბოლოში დაიბეჭდება.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსად ნამყოფი ინჟინერი ა. ნ. პუშეჩნიკოვი უცბად ავად გახდა. ცალის თვალის მხედველობის ძაფი (зрительный нервъ) დაუდამბლავდა. ავადმყოფობა საშიშია, („ტფ. ფურც.“)

*** ოფიციალური ცნობა მოვიდა ტფილისში, რომ ტარსში (აზიის ოსმალეთია) რამდენიმე ხოლერით ავადმყოფი აღმოჩენილა, („ტფ. ფურ“.)

## თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

16 მაისი.

დაიწყო საღამოს 8 საათზედ.

წაიკითხეს წინა სხდომის პროტოკოლი.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. გუშინ ვერ მოვასწარით საზოგადო სასარგებლო თანხის შესახებ დაგვესრულებინა სჯა. ჩვენ ამ თანხისათვის გვაქვს 54,000 მან. და თხოვნები-კი აღემატება ამ ჯამს. რას ინებებთ.

დიმიტრი მუსხელიშვილი. მომეცით სიტყვა. უნდა კარგად შევაგნებინოთ, რამდენი გვაქვს თანხა...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. თქვენზედ წინ სიტყვა ეკუთვნის თავ. მიქელაძეს.

თავ. ვლადიმირ მიქელაძე. მე შემიძლიან დიმიტრი მუსხელიშვილს დავუთმო.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. გარკვევით იმის ახსნა, თუ რამდენი გვაქვს თანხა, მე მიმინდვია ზედამხ. კომიტეტის წევრის თავ. დიმიტრი გურამიშვილისათვის.

თავ. გურამიშვილი ვრცლად, გარკვევით ჰხსნის თანხის რაოდენობას. თავ. მაჩაბლის აზრი, რომ კიდევ რჩება ფული 1700 მან., შემცდარად გამოჰყავს. სკოლა თხოულობსო 51,000 მან. და 3,700 მან. წაღებული იმ წელიწადში, დახარჯული აქვთ იმავე წელიწადში და ეს ფული აღარ გამოერიცხებაო. წინა წლების მაგალითები მოჰყავს, სადაცა სჩანს, რომ სკოლას წინდაწინვე აულია რამდენიმე სმეტის გარეშე და უხარჯავს, მაგრამ მომავალის წლის სმეტიდგან რომ გამოერიცხათ, მაშინ სკოლას თითქმის არაფერი ერგებოდაო.

დიმიტრი მუსხელიშვილი. მადლობა ღმერთს, როგორც იქნა გავიგეთ.. მაგრამ აქ კიდევ უნდა იყოს ერთი შეცდომა: 700 მან., სავენახო ფულები სადღაა ნაჩვენები? ვიმეორებ უთავბოლოდ არის ანგარიში შემდგარი.

თავ. ილია ჭავჭავაძე. ანგარიში რომ გადაგეფურცლათ მე-5 გვერდზედ, მაშინ გაიგებდით, რომ უთავბოლობა ანგარიშში-კი არ უნდა სძებნოთ... აი სად არის (წაიკითხავს).

დიმიტრი მუსხელიშვილი. მე ვამტკიცებ, რომ ანგარიში უფრო გარკვევით უნდა იყოს შემდგარი. ამას გარდა თავ. ერისთვის თხოვნაზედ გთხოვთ მოისმინოთ.. მიეცეს ამ სასარგებლო გამოგონებისათვის ათასი მანეთი იმ პირობით, რომ კომისია შესდგეს ტეხნიკებისა და თუ ამათ მოიწონონ, მაშინ მიეცეს.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. დრამატიულ საზოგადოების თაობაზედ რას იტყვით.

დ. ი მუსხელიშვილი. მე თითონ თეატრის მოყვარული არა ვარ, მაგრამ წინააღმდეგიც არა ვარ.. მიეცეს. წაიკითხეთ სხვა თხოვნებიც.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. წაიკითხეთ.

თავ. ივანე გ. მაჩაბელი როგორც გამგეობის წევრი თხოულობს სიტყვას.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი წაიკითხვის შემდეგ.

წაიკითხვენ რამდენიმე თხოვნას.

თავ. ივანე მაჩაბელი. შემცდარათ მიმაჩნია ის წესი, რომელიც აქ გამოცხადდა შესახებ კითხვების დადგენილებისა. ყველა თხოვნები უნდა გადაგეცათ სკოლის კომიტეტისათვის წინანდლურად. ჯერ ის კითხვაც ვერ გამოგვირკვევია, თუ რამდენი თანხა გვაქვს. გუშინ გიმტკიცებდით, რომ არა თუ დეფიციტი, როგორც თ. ჭავჭავაძე ბრძანებდა, არამედ 1700 მანეთი მეტი გვრჩება ჩვენის საჭირო საქმეთათვის, ახლა-კი აღარ გჯერათ ჩემი სიტყვები, ამგვარი უნდობლობა ჩემდამი საზოგადო კრებისა მიმაჩნია უკანონოთ, უმართებულოდ! მე კარანდაშით ხელში გიმტკიცებთ, რომ ეს ფულები ჯიბეში გვაქვს. ეს საქმე იმასა ჰგავს, რომ ვინმეს ჯიბეში 1700 მანეთი ედვას, გზაზედ მეორე შეხვდეს და უთხრას, არა შენ 1700 მანეთი-კი არ გაქვს, 2000 მანეთიც დაგიკარგავსო; პირველი უპასუხებს რას ამბობ, კაცო, აი ჯიბეში 1700 მან. მაქვს და შენ-კი რას გაიძახი! ცხვედაძე რომ აქ იყოს, უფრო მალე გამოვარკვევდით ამ საქმეს. გთხოვთ წაიკითხოთ სკოლის კომიტეტის მოწერილობა შესახებ 51,000 მან. (წაიკითხვენ). ამაზედ ნათელი რაღა უნდა იყოს: სკოლა თხოულობს ამა წლის პირველ იანვრიდგან იმა წლის 1 იანვრამდის 51,000 მანეთს; მიცემული გვაქვს 3,700 მან.—განა ეს უკანასკნელი არ გამოვრიცხოთ, და იმაზედ მეტი მივცეთ, რასაც თხოულობენ? მე გარდაწყვეტილად ვაცხადებ, რომ ეს ფული უნდა გამოირიცხოს და მაშინ გვრჩება 1700 მანეთი. მე ვთხოულობ, თქვენს ამორჩეულს უფრო მეტი ზრდილობით მოექცეთ და დაუჯეროთ, რასაც ის კარანდაშით ხელში გიმტკიცებთ. (ვაშა, ვაშა!).

თავ. ილია ჭავჭავაძე. მიბოძეთ სიტყვა—(ხალხში დიდი ჩოჩქოლი შეიქნება).

თავ. ანდრონიკაშვილი. (რეკს) მოითმინეთ თავ. ილია გრიგორის ძევ.

თავ. ილია ჭავჭავაძე. მე მეგონა ნება უნდა მომეცეს, რომ ვუპასუხო..

ღენერ. ამირაჯიბი. მიეცით ნება!

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. ღენერალ-ლეიტენანტო თავადო ამირაჯიბო, ამ კრების უფროსი და პატრონი მე ვარ. მომეცით ნება შეგნიშნოთ, რომ ჩემს უფლებებს ვერ შეეხებით.

თავ. ზ. ჩოლოყაშვილი. საზოგადოებას ჰსურს თ. ილიამ ილაპარაკოს!

თავ. ანდრონიკაშვილი. სიტყვა ეკუთვნის თავ. ილია ჭავჭავაძეს.

თავ. ილია ჭავჭავაძე. 3779 მანეთი მოგვთხოვა შარშან, 1894 წელს, სათავად-აზნაურო სკოლამ იმ საჭიროებისათვის, რაიცა მას ჰქონდა იმ 1894 წ. გამგეობამ კანონიერად იცნო ეს მოთხოვნილება და სკოლას მიეცა ნათხოვნი თანხა ამ 1895 წ. ბანკის ანგარიშზედ. ეს ფული ჩვენ უკვე დავიბრუნეთ. სასკოლო კომიტეტის მიერ წარმოდგენილის სმეტიდგან ცხადადა სჩანს, რომ ხსენებულს სკოლას ეხლა სჭირდება 51 ათასი და რამოდენიმე მანეთი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელსაც იგი მოელის პირველ იანვრიდგან ამა 1895 პირველ იანვრამდის მომავალის 1896 წლისა. ნუ-თუ აქედგან ცხადი არ არის, რომ 51 ათასიდგან 3779 მანეთის გამორიცხვა არ შეიძლება, რადგანაც ეს უკანასკნელი თანხა დაეხარჯა სკოლას შარშანდელის წლის საჭიროებისათვის და 51 ათასს-კი თხოულობს მდგომარე წლის ხარჯისათვის? თავადმა ივ. მაჩაბელმა სთქვა, რომ თუ გამოვრიცხავთ 3779 მანეთს 51 ათასიდგანა, ფული დაგვრჩება სხვა საჭიროებისათვისო. ბატონებო, ვინ არ იცის, რომ კიდევ მეტი რომ გამოვრიცხოთ იმ სკოლისათვის საჭირო 51 ათას მანეთიდგან,—უფრო მეტი დაგვრჩება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმ 51 ათას მანეთიდგან, რომელიც სკოლას ამ წელიწადში სჭირდება, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება!

თავ. ვლადიმირ მიქელაძის აზრით, გამოურიცხველად უნდა მიეცეს 51,000 მან.

თავ. ბაქრაძე(?) საქმე უკეთ გამორკვეული იქნება, თუ ჯერ სხვებს გადვუწყვეტთ, ვის რამდენი მივცეთ და დანარჩენი თანხისა მიეცეს სკოლას.

თავ. ვლადიმირ ჯაჩნაძე. სკოლის სმეტა უნდა შევაფარდოთ გამგეობის მოხსენებასთან და მაშინ გავიგებთ, ვის რამდენი ჰხვდება წილად.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. სიტყვა ეკუთვნის მამა ასათიანს.

მღვდელი ასათიანი ვრცლად ლაპარაკობს წინამძღვარიანთ სკოლაზედ ბ. კეზელის გუშინდელის სიტყვების წინააღმდეგ. კონტროლი მოითხოვა და კონტროლი კიდეც სუფევსო. ყველანი მოდიან და აღტაცებაში არიანო. ვინ იქნება წინააღმდეგი, თუ გინდ განსაკუთრებითი კონტროლი დანიშნეთ. იქსწავლობენ თავად-აზნაურთა გარდა გლეხნიც და არ მგონია ეს შეგნებული კრება ამის წინააღმდეგი იყოს—განა გლეხიც ღვთის გაჩენილი არ არისო! ამას გარდა ამ ბანკის დაარსებაში გლეხების თანხა ურევიაო, რადგან გლეხის სულის ფულებით დაარსდაო. მაშ თუ იმათი ოფლი ურევია—ჩვენც ვალდებულნი ვართ იმათ დავეხმაროთო (ვაშა, ვაშა!).

ბ. ტატიშვილი. დღეს თითონ სკოლის ინსპექტორმა მითხრა, რომ 3700 მან. უნდა გამოირიცხოსო. რათ მივცეთ იმაზედ მეტი, რასაც თხოულობს; ვერა ხედავთ, რამდენი ქალები გვახვევია თავზედ გასაზრდელად, იმათ რატომ არ უნდა მივცეთ?

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. დასრულებულად მიმაჩნია სჯა ამ საგანზედ...

მიხეილ მაჩაბელი. მე სიტყვა მქონდა...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. ვაცხადებთ, თავმჯდომარეს აქვს უფლება, როდესაც საჭიროდ სცნობს კითხვაზედ კამათობას, შოსპოს ეს კამათობა, და იმ ორატორთა უფლებებს არღვევს, რომელთაც ვერ მოუსწრიათ ამ საგანზედ ლაპარაკი. მე ჩემი უფლებანი ბოროტად არ მომიხმარია. მგონი საკმაო იყო ამ საგანზედ სჯა. მე თითონ მსურდა ამ საგნის გამორკვევა და თქვენც, დარწმუნებული ვარ, გამოარკვიეთ—შევუდგეთ მაშ საგნის გარდაწყვეტას.

მიხეილ მაჩაბელი. რადგან ეგრეა, გთხოვთ მიიღოთ ჩემი პროტესტი. უბრძანეთ სეკრეტარს... მე ვუკარნახებ. თავმჯდომარემ წამართვა მე სიტყვა მთელი დღით ერთის საგნის შესახებ და როდესაც მეორე საგნის განხილვა...

---

ეკარებოდნენ მოღნისს, ქართველები-კი ძველადგანვე ყოველ კვირა-უქმე დღეს მიდიოდნენ იქ სალოცავად. ეკკლესიასთან პატარა წყალი ჩამოწანწკარებს, რომელსაც თურმე ის თვისება აქვს, რომ ძლიერა ჰრგებს თავისა და თვალების ტკივილს. ეკკლესიას წარწერა არა აქვს-რა, დარჩენილია მარტო უბრალო ქვით ნაგები კედლები. აი ეს ეკკლესიაა ეხლა გამხდარი სადაოდ ქართველებსა და სომხებს შუა: ქართველები იძახიან ჩვენიაო, სომხები იძახიან ჩვენიო. ამ უკანასკნელთ ფაქტიკური მფლობელობა კიდევაც დაიწყეს, მაგრამ რის საფუძვლის ძალით, ეს ღმერთმან უწყის: მისავალი გზა გაუკეთეს, თავიანთი ხატები დაასვენეს ეკკლესიაში, სანთელს ჰყიდიან და, როგორც ამბობენ, ვითომ წყალსაც ფასი დაადვეს. მაგრამ, ვიმეორებ კიდევ, რის საფუძვლის ძალით ეპატრონებიან სომხები ამ ეკკლესიას და ისაკუთრებენ მას? ეკკლესიასთან გდია ერთი საფლავის ქვა სომხურის წარწერით, რომელიც უნდათ თავიანთს ჰქვაში საფუძვლად გამოიყენონ სომხებმა, მაგრამ ეს, ჩემის აზრით, სუსტი საფუძველია. ჯერ ერთი იმისთვის, რომ ჩვენ ცოტა ეჭვში შევდივართ, ვგონებთ ეს ქვა ახლად უნდა იყოს მიტანილი, რადგანაც წინად არსად არა ჩანდა იგი და მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოჩნდა, და მეორეც, განა არ შეიძლება საფლავის ქვაზედ სომხური წარწერა იყოს და ეკკლესია-კი მათი არ იყოს; მაშ შეიძლება სომხებმა ახალციხის საკრებულო ტაძარიც დაისაკუთრონ, რადგანაც მისს სასაფლაოზედ რამდენიმე საფლავის ქვა მოიპოვება სომხურის წარწერით. თუ საფუძველზედ მივარდება საქმე, ჩვენ ქართველებს უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, ვიდრე სომხებს: მოხუცებულებისაგან გამიგონია, რომ უწინ ამ ეკკლესიასთან ყოფილა გაშენებული სოფელი „მოღნისი,“ სადაც უცხოვრიათ ქართველებს. შემდეგში ესენი ახალციხის ძველ ნაწილში გადმოსახლებულან და მათ შთამომავალთ ეხლაც, ვგონებ, მოღნისელებს ეძახიან. ეჭვი არ არის, რომ ამ სოფელ მოღნისში მცხოვრებ ქართველებს ეკკლესია ექნებოდათ და სწორედ მათი ეკკლესია აი ეხლანდელი სადაოდ გამხდარი მოღნისის ეკკლესია უნდა ყოფილიყო, რადგანაც სხვა ნაშთი ეკკლესიისა აქ არ არის. თვით სახელ-წოდება „მოღნისი“ ქართულია, წარმომდგარი სიტყვისაგან „მოღმისი,“ რადგანაც, ახალციხის ძველის ნაწილიდგან რომ ვიანგარიშოთ, მოღნისის ეკკლესია მდ. ფოცხოვის გაღმა მოვა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ახალციხის ქართველ-კათოლიკეთა მღვდლის მამა იოანე გვარამაძის სახლთან გდია ერთი ოთხ-კუთხიანი სვეტის ქვა, რომლის ერთს გვერდზედ დარჩენილია შემდეგი ხუცური წარწერა: „სახელითა ღვთისათა მეოხებით წმიდისა ღვთისმშობლისათა მე მ˜ქლ ღირს ვიქმენ.......... შენებად ამინ“. თუ ეს ქვა მართლა მოღნისის ეკკლესიიდგან არის გამოტანილი, როგორც დამარწმუნა მამა იოანე გვარამაძემ, მაშინ უეჭვო უნდა იყოს, რომ ეს ეკკლესია ქართველებისაა და მაშასადამე სომხებს არავითარი უფლება არა აქვთ დაეპატრონონ და აღიარონ იგი თავიანთ საკუთრებად.

სოფელ ბურნაშეთში (ჯავახეთშია) დარჩენილა ერთი ძველი მართლ-მადიდებლების ეკკლესია, რომლის აღმოსავლეთის კედელზედ, გარედან, ამოვიკითხეთ შემდეგი ხუცური წარწერა: (თავში ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე) „იხსენ დანიელ პირისაგან ლომთასა ეგრე იხსენ ამის წმიდა ეკკლესისა აღმაშენებელნი ხელთა გ˜ XX ႡႭႬ სა˜თა“. (უკანასკნელი სიტყვები, მგონია, უნდა იკითხებოდეს: „ხელთაგან ჯოჯოხეთისათა.“) წარწერის ქვეშ ქვაზედ გამოყვანილია ორი ლომი და შუაში დანიელი. ჩრდილოეთის კედელზედაც, შიგნიდგან, როგორც ეტყობა ხუცური წარწერა ყოფილა, მაგრამ ბურნაშეთის სომხების წყალობით, რომელთაც დაუსაკუთრებიათ ეს ეკკლესია და შიგ ასრულებენ ეხლა ღვთის-მსახურებას, თეთრის კირით არის წაბლალული. თავში გავარჩიეთ მხოლოდ შემდეგი: „ქ. სახელითა ღვთისათა დ ამმ˜ად.......“ რასაკვირველია, სრულებით რომ წაშალონ ქართული წარწერები, მაშინ უფრო ადვილად დაისაკუთრებენ. როგორც ამბობენ, სოფ. ხორენიაში (ესეც ჯავახეთშია) ძველს მართლ-მადიდებელს ეკკლესიაზედ სომხებმა ქართული წარწერა წაშალეს და სომხურად დააწერეს. აი, სადამდის მიდის მათი თავ-აშვებული მოქმედება და თავისუფალი ნავარდობა ამ მხარეში. ამგვარადვე აღიარებენ სომხები თავიანთ საკუთრებად ეკკლესიებს, ყურათუბნისას (ახალციხის მაზრაში), აზავრეთისას (ახალქალაქის მაზრაში), იხტილისას (ახალქალაქის მაზრაში) და სხ.

ვერ არის კარგის მეგობრობის ნიშანი, როდესაც ამ ჟამად ახალციხის საბჭოში ერთი ქართველი აღარ არის, რომ ყოველთვის საბჭოს გააგებინოს ხოლმე ძველის ნაწილის (ქართველები ქალაქის ძველს ნაწილში სცხოვრებენ) ჭირ-ვარამი, მისი ავი და კარგი, მისი საჭიროებანი და სხ. მაგრამ იქნება ახალციხის საბჭო-გამგეობა ვალად არა ჰრაცხს თავისს თავს ძველს ნაწილზედაც იზრუნოს და მისთა მკვიდრთა საჭიროებანი დააკმაყოფილოს? მაგრამ ამაზედ როდესმე სხოვის.

ე. შილდელი.

თავ. ილია ჭავჭავაძე. და სანამ თავ. მაჩაბელი უკარნახებს, ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილებმა უნდა ვუცადოთ. შემოიტანოს წერილობითი პროტესტი.

(ხალხში ხმაურობა შეიქნება).

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. შემოიტანეთ პროტესტი.

მიხეილ მაჩაბელი. წაიკითხავთ საზოგადო კრებაში ჩემს პროტესტს?

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. წავიკითხავთ!..

გიგო ყარანგოზიშვილი. გთხოვთ ჩასწეროთ პროტოკოლში; თავმჯდომარე მშვენივრად მოიქცა, მიხეილ მაჩაბელს რომ სიტყვა წაართვა!..

ამის შემდეგ საზოგადო კრებამ გადასწყვიტა, თანხიდგან მიეცეს 5000 მან. წინამძღვარიანთ-კარის სკოლას, 1000 მან. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, 1000 მან. თ. ერისთავს და დანარჩენი სათავად-აზნაურო სკოლას.

კრება დაიშალა 12 საათზედ.

## კორესპონდენცია.

**თელავი**, 7 მაისს. ჩვენ თელაველებს ვერავინ შეგვედრება კარგის გადუხჭირებაში და ბოროტის გამშვენებაში. მართლაც თუ მოვინდომეთ, რაც უნდა კარგი და საპტიო მოვლენა იყოს, ისეთს სუდარში შევახვევთ, ისეთს მხარეებს გამოვუძებნით საჩვენებლად, ისეთის ჭორებით მოვრთავთ, რომ პირველსავე დანახვაზედ შეგეზაროთ. ეს თვისება ბევრს ნავნებს ვერ იზამდა, რომ თვისს აკვანს (ბულვარს და ზოგიერთს მაღაზიებს) არ მოსცილებოდა, ფეხი არ აედგა და გაზეთშიაც არ ამოეყო თავი. დასარწმუნებლად ჩემის ნათქვამისა გადაშალეთ 102 № „Тиф. Лист"-კისა და ჩაათვალიერეთ კორესპონდენცია თელავიდგან. ადგილობრივმა მთავრობამ ყასბების დუქნები გადაატანინა იმ ქუჩიდგან, რომელზედაც უფრო მეტი მოძრაობა არის, სადაც უფრო მეტი ხალხი იკრიბება. ამავე ქუჩაზედ სამი ბაკი არის და ამ ბაკების დაკეტვაც განიზრახა. უკანასკნელის აღსასრულებლად დადგენილებით ერთი თვე ვადა მისცა ბაკის პატრონებს, რომ ერთის თვის განმავლობაში მოესპოთ ბაკები და თუ საჭირო იქმნებოდა, გადაეტანათ ქალაქის განაპირას. თვით ბაკის პატრონებმა ხელ-წერილი მისცეს, რომ შეასრულებდნენ ამ განკარგულებას. ამისთანა ყურადღება ადგილობრივის მთავრობისა სამადლობელი უნდა ყოფილიყო ყველასაგან, მაგრამ აბა გადავშალოთ ხსენებული კორესპონდენცია, რას ამობს პატივცემული თელაველი: ამისთანა განკარგულება განა მარტო ბაკების პატრონებისათვის, არამედ მთელის თელავის მოქალაქეთათვის არის საზარალო, რადგანაც ქალაქის განაპირიდგან საქონლის გადმოტანა მოითხოვს ახალს ხარჯს იმათგან, ვისაც მოაქვს საქონელი და ვინცა ჰგზავნის. სხვა ქალაქები ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რაც შეიძლება შეამცირონ მეტ ხარჯი საქონლის გადატან-გადმოტანისა, ცდილობენ გაუადვილონ მომსვლელთ და წამსვლელთ გარემოებანი, თელავში-კი უკუღმა იქცევიან". ბაკების ქალაქის განაპირას გადატანისა და სავაჭრო საქონლის მეტი ხარჯის შორის საერთო არა არის-რა, მაგრამ ნახეთ, საიდგან მოუარა ბ. კორესპონდენტმა? თურმე ნუ იტყვით, ბაკები თუ განაპირას გადიტანეს, სავაჭრო საქონელს ახალი ხარჯი მოემატება გადასატან გადმოსატანი და იგი აზარალებს მოქალაქეებს. თქვე დალოცვილებო, „საიდგან სადაო, წმ. საბაო". ფურგუნებისა და დილიჟნების ცხენები რომ ქალაქის განაპირას ებნენ, ეს ხარჯს-კი არ მოუმატებს, უფრო მოუკლებს, რადგანაც ქალაქს განაპირას მეფურგუნე—მედილიჟნეები იაფად შეინახავენ ცხენებსა და თავისს თავს. რაც მეფურგუნეებს ნაკლები ხარჯი ექმნებათ ცხენების შენახვაზედ, მით უფრო ნაკლებს ქირას დასჯერდებიან. ამას გარდა სავაჭრო საქონელს განა ბაკებში სცლიან, რომ ბაკებიდგან გადმოსატანი ახალი ხარჯი დაედოს. არა თუ მარტო თელავში, ყველა ქალაქებში ფურგუნით და ურმით შეტანილი საქონელი თვით საქონლის პატრონის კარზედ იცლება. ეს კარგად უწყის თვით კორესპონდენტმაც, მაგრამ კეთილის გადუხჭირება სდომებია, და ბაკები რკინის გზის ვოგზალები ჰგონებია. თელავში მომსვლელ-წამსვლელთათვისაც გულ-შემატკივრობას იჩენს ბ. კორესპონდენტი. მომსვლელთ და წამსვლელთ მოსვლა და წასვლა გაუძნელდებათო. აქაც კეთილის გადუხჭირება თუ არ უნდა, აბა სად მომსვლელ-წამსვლელი და სად ცხენების საბმური? განა მომსვლელ-წამსვლელთათვის საჭიროა, რომ ცხენები თელავის საუკეთესო ალაგას ებნენ? საჭიროა, რომ ხალხი და ცხენები, რაც შეიძლება, მჭიდროდ იყოს ერთმანეთში არეული? სხვამ თუ არ იცის, თქვენ, ბ. კორესპონდენტო, ხომ იცით, რომ თელავის მცხოვრებელთა უმრავლესობა ამ ბაკების წინ იყრის თავს; თქვენ ხომ იცით, რომ ყოველ დღე დილით აქ არის შეყრილი მუშა; თქვენ ხომ იცით, რომ აქვე არის ყანთარი, რომელსაც დიდი ხალხი ახვევია, თქვენ ყველა ეს იცით და ისიც იცით, რომ იმ ბაკებიდგან საზარელი სუნი ტრიალებს ახლო-მახლო, განსაკუთრებით ზაფხულში; თქვენ ისიც იცით, რომ რაც უნდა სუფთად შეინახონ ის ბაკები, მაინც სუნი იქნება; თქვენ ისიც იცით, რომ ამ ბაკების ბუზი ეხვევა ხილსა, საჭმელს, ხორაგსა და ეს მეტად მავნებელი უნდა იყოს; თქვენ ისიც იცით, რომ ეს ბაკები საწყლებს-კი არ ეკუთვნის, ეკუთვნის იმისთანა შემძლებელთ, რომელთაც შეუძლიანთ აქ ქარვასლებიააშენონ და უკეთესად ისარგებლონ, ვიდრე სარგებლობენ. თუნდა წარმოვიდგინოთ, რომ ვერ ისარგებლებენ ისე, როგორც ახლა, ან ზარალი ექმნებათ, განა მაშინ-კი შეიძლება ამათ მოგებას შევწიროთ თელაველთ ჯანის სიმრთელე? თქვენ, ბ. კორესპონდენტო, თუ ჩვენი მოკეთე იყავით, ეს განკარგულება უნდა მოგეწონებინათ, უნდა მადლობა გეთქვათ ყველასათვის ამისთანა საზოგადო მზრუნველობისათვის. უნდა მადლობა შევეწიროთ ღვთისათვის, რომ ჩვენმა დეპუტატებმა და ადგილობრივმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება თელავის გამოკეთებას და გენატრით, რომ მათი ყურადღება უფრო გაძლიერებულიყო, რადგანაც თელავს ბევრისაგან-ბევრი ნაკლი აქვს და დროა თელავი მარტო სახელით-კი არ იყოს ქალაქი, ნამდვილად ქალაქს დამეზგავსოს.

ი.

—

**დ. ახალ-სენაკი**. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დაბა ახალ-სენაკი გაშენდა. მიუხედავად ამისა დღეს ახალ სენაკი არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა დაბებს: გვაქვს ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, საბალოსნო და საქალებო სასწავლებელი, ამ უკანასკნელს დროს სამკითხველოც-კი დავიარსეთ. მაგრამ ამ სამკითხველოში არა აქვს შესვლის ნება მოსწავლეებს. მაშ რაღად გვინდა სამკითხველო, თუ ახალგაზდობა არ ისარგებლებს მით. ყოველ სიკეთესთან ერთი ცუდი ზნე სჭირს ჩვენს დაბას. მისი ქუჩები ავდარში ტალახის გამო გაუვალია. სიცხეში ბუქით არის სავსე. საზოგადოდ დიდი უსუფთაობაა.

იონა გაბრიელისძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

უკანასკნელ ნომერში ფრანგულ ჟურნალს „რევიუ დე პარი-ში" დაბეჭდილია გეგმა იაპონიის მოქმედებისა მომავალში. ავტორი, როგორც თვითონ ამბობს, სარგებლობს იაპონიის მწერლობით და საზოგადოდ იაპონელების შეხედულებით ამა თუ იმ საპოლიტიკო კითხვებზედ.

„იაპონია უკვდავია. შემდეგ იმ დიად საქმეებისა, რომელნიც ჩვენმა წინაპრებმა შეასრულეს, იაპონია გაჩუმდა, ღრმა ძილს მიეცა, თითქოს დაიღალაო. მაშინ უცხოელნი „ქერა თმებიანი" ბარბაროსნი შემოესივნენ ჩვენს სამშობლოს. ისინი ვერა გვჯობდნენ ჩვენ ვერც ხასიათით, ვერც ჭკუით მაგრამ ისინი ჩვენზედ განათლებულნი, დახელოვნებულნი და ჩვენზედ ღონიერნი იყვნენ. იმათ უკვე გაიარეს ის გზა, რომელსაც ჩვენ ჯერ არ დავდგომოდით. ისინი ჩვენ დამამარცხებლად გადაიქცნენ. მაშინ გაიღვიძა ღრმა ძილიდგან იაპონიამ და მიუხვდა საიდუმლოებას, საიდუმლოებას, რომლითაც ჩვენი „ქერა თმიანნი" მოწინაღმდეგენი გვამარცხებდნენ ჩვენ. ამის შემდეგ ჩვენ ვაკვირდებოდით, ვმუშაობდით, ვმოგზაურობდით დაუსვენებლივ. მრეწველობა, ვაჭრობა, მეცნიერება და მისი გამოყენება გახდნენ ჩვენ შესასწავლელ საგნებად.

ამის გარდა ჩვენ მივყავით ხელი საომარ ხელობის შესწავლას, რომელსაც ჩვენ ყოველთეის პატივსა ვცემდით.

დიდის შრომის შემდეგ ჩვენს მიზანს მივაღწიეთ. იაპონიამ გაიმარჯვა და დღეს საპატიო ადგილი დაიჭირა სხვა სახელმწიფოთა შორის. „იაპონია აღარ არის ის გადაკარგული მივიწყებული იაპონია, რომელსაც წინეთ ზიზღით იხსენიებდნენ. ჩინეთი - ეს მდევ-გმირი სახელმწიფო, რომელსაც ევროპიელნი ეომებოდნენ და ვერ ამარცხებდნენ, დღეს იაპონიის წინაშე იდრეკს მუხლს და შესთხოვს პატივებას, მორიგებას. მაგრამ განა ამით მივაღწიეთ ჩვენ ჩვენს საწადელს? განა უნდა ვიკმაროთ ხარჯის აღება და საზღვრების გაფართოება? განა ეს არის უკანასკნელი წერტილი ჩვენის მისწრაფებისა? არა. ხარჯის აღებით და ადგილების შეძენით დაკმაყოფილდება მხოლოდ ავაზაკი, რომელსაც ამაზედ მაღალი იდეია აღარ აქვს, ჩვენთვის-კი ყველა ეს მხოლოდ ერთი ნაწილია იმ დიდის აზრისა და საქმისა, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. აი რაში მდგომარეობს ეს დიდი საქმე: ჩვენ უნდა ხელ-ახლად და სავსებით აღვადგინოთ ის ძველთა-ძველი სახელმწიფო, რომლის ისტორია შეიცავს რამდენიმე ათი-ათას წელს და რომლის საზღვრები რამდენიმე მილიონი ვერსით იზომებოდა. ჩვენ საუკუნოდ უნდა აღვადგინოთ მისი წარსული დიდება და მისი სივრცე. დიაღ, რომ ძნელი შესასრულებელია ეს, მაგრამ ჩვენ ამას განვახორციელებთ. ჩინეთს უთვალავი ქონებრივი შეძლება აქვს, ჩინელები ნიჭიერი და მშრომელი ხალხია. მაშ რაღა ჰკლებია მას? კარგი მმართველობა. იაპონია მისცემს, რაც აქნობამდის არა ჰქონ და მას. თუ ნებით არ მიიღო, ძალით მიაღებინებს. მაშინ ჩვენს ეკონომიურს განვითარებას საზღვარი აღარ ექნება. ჩვენს მოხელეთ და ჩვენს მეცნიერთ გადაეშლებათ თვალ-წინ ფართო ასპარეზი სამოქმედოთ. უსაზღვრო მიწა, ჩვენის დახმარებით გაივსება სამრეწველო დაწესებულებებით და დაიქსელება რკინის გზებით. ამავე დროს გაიზრდება ჩვენი საომარი ძალ-ღონეც, ჩვენი ჯარი და ხომალდნი არა ნაკლებ ჩვენის მრეწველობისა და ვაჭრობისა იქნებიან საშიშნი სხვებისთვის. მაშინ შეეშინდებათ ჩვენი ევროპიელებს და არა ჩვენ იმათი: და ისინი იძულებულ იქნებიან, ან მიიღონ ხოლმე ჩვენი წინადადებანი, ან ჩამოგვეცალნენ გზიდგან. აზია იაპონიის მეთაურობით დაუმარცხებელი შეიქმნება. განა არის სადმე იმისთანა ძალ-ღონე, რომელიც 500 მილიონ ხალხის მოსაზრებით, ერთის აზრით შეერთებულთ, გაუძლოს და უკუ არ იქცეს?

აი გეგმა იაპონიის მომავალში მოქმედებისა, ამბობს „რევიუ დე პარი-ის" უსახელო თანამშრომელი და განაგრძობს. ამ ახლად გამოსულ მეომართან პასუხის გება მოუხდება ვისმეს. ის მამაცია, ღონიერია, უშიშარია! მისი ძალ-ღონე ერთი-ორად გაიზარდა აზიელების თვალში იმ ხარისხამდე, რა-ხარისხზედაც იდგა მისგან დაცემული გოლიათი (ჩინეთი). თუ ეს ახალგაზდა დავითი თავის ნებაზედ იმოქმედებს, ის ჯერ შეაერთებს, შეაკავშირებს აზიელებს და მერე მათთან ერთად საომარის რიხით დაიძახებს „აზია აზიელებისათვის". ინტერესებიც შეკავშირებულია ამ საქმესთან; ის უნდ ეცადოს აღმოსავლეთ აზიაში საქმის გადაწყვეტის დროს მაინც მონაწილეობა მიიღოს, თორემ საქმე ყოველთვის მათ სავნებლად გადასწყდებაო" დასძენს „რევიუ დე პარი"-ის კორესპონდენტი.

რასაკვირველია, რომ ეს არ ესიამოვნებათ ევროპიელებს. გაიგონ, მოძულებულნი, მათგან უნიჭოდ ცნობილნი აზიელები, დღეს ჰბედავენ არამც თუ მათ მხარი მხარს დაუდგენენ, არამედ მათზედ მაღლაც აიწიონ. ესეც არ იყოს, ევროპიელნი დროთა ვითარებამ ისე წაათამამა, რომ აზიას ისენი თვის ლუკმად სთვლიან, ლუკმად, რომელსაც აწი ნელ-ნელა სწუწნიან და ელიან შემთხვევას, რომ ერთბაშად გადაყლაპონ. მაგრამ დღეს აზიას გამოუჩნდა თავისი „სპარტაკი", რომლის მეოხებით შესაძლოა არის სოფლიო ისტორიის მსვლელობა სრულიად შეიცვალოს.

—

გაზ. „ნოვოსტი"-ს ფელეტონისტის ბუკვას აზრი იზმაილოვის შესახებ.

განსვენებულმა კარგი ხსოვნა დასტოვა. ის არამც თუ ტფილისში, არამედ მთელს კავკასიაში ყველასათვის ცნობილი პირი იყო. მას აფასებდნენ და უყვარდათ. ის პატიოსნურად ასრულებდა თავისს მოვალეობას. მოკვდა სიღარიბეში. იზმაილოვს ჰქონდა განვითარებული ჭკუა, კეთილი გული. საქმეების გამო პეტერბურგში იყო, აქ გაცივდა და გარდაიცვალა. მისს ხასიათში ჯერ კიდევ ახალგაზდური მისწრაფება გამოსჩანდა. არ უყვარდა მდიდრულად ჩაცმა. ის იგივე სტუდენტი იყო, როგორიც სწავლის დროს. იმის ცხოვრება ერთი დიდი ამბავია. ის სამოც-და-ათს წელში სტუდენტი იყო, მერე თავისუფალი მოქალაქე ლათინების კვარტალისა პარისში, იყო გუვერნიორად, თარჯიმანად, ჟურნალის თანამშრომლად, კორესპონდენტად პეტერბურგის გაზეთისა, მერე მდივნად ქალაქის საბჭოში, წევრად ტფილისის საქალაქო მმართველობისა და ბოლოს ქალაქის თავად. იზმაილოვს ბევრი რამ ენახა, ბევრი იცოდა და ბევრს მუშაობდა და ბევრიც გააკეთა. მას გულ-წრფელად უყვარდა მდაბიო ხალხი, თავისი ქალაქი და მათ შესწირა თავისი სულიერი და ფიზიკური ძალ-ღონე. მართალია, ის ქალაქის თავად ირიცხებოდა, მაგრამ მრავალ სხვა მოვალეობასაც ასრულებდა; რომ მისებრივ ღირსეული ქალაქის თავი კვლავ გამოუჩნდეს ტფილისს, ეს ასე ადვილი არ არის და არც ჩქარა იქნება.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** რუსეთისა, გერმანიისა და საფრანგეთის ჩარევა ჩინეთ-იაპონიის მორიგების საქმეში ისეთს დიდს ნაბიჯს შეადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ შემდეგში ამ გარემოების მნიშვნელობას კიდევ დიდი ხანი ექნება; ყურადღება მიქცეული და მრავალჯერ იქნება სჯა ამის შესახებ. სამთა სეხელმწიფოთა შეერთებული მოქმედება, რომელმაც აიძულა იაპონია, მრავალი მათი რჩევა აესრულებინა, შეიქნება მიზეზად ფრანგთა და რუსთა დამოკიდებულებათა შესახებ ლაპარაკის აღძვრისა. „ფიგაროს" უკანასკნელს №-ში დაბეჭდილია წერილი ჟულ დელაფოსსი, რომელიც ამ საგანს შეეხება და დიდის ყურადღების ღირსიც არის, როგორც მაჩვენებელი იმისი, თუ რა აზრისანი არიან ამ საგნის შესახებ საფრანგეთის ზოგიერთს წრეებში. საფრანგეთის გაზეთს შემდეგი მოსაზრება მოჰყავს: „იაპონია რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის შეერთებულს წარდგენილებას დაემორჩილა და ამიტომ ამას ჩვენშიო,—ამბობს „ფიგრო",—დიპლომატურ გამარჯვებადა სთვლიანო. ეს სწორედ რომ გამარჯვებაა, თუ იმ საშიშს შედეგს წარმოვიდგენთ, რომელიც იაპონიის წინააღმდეგობას მოჰყვებოდა- იმ შემთხვევაში, თუ რომ ამ დიპლომატურს წარდგენას სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა, უთუოდ რეპრესიულ საშუალებისათვის უნდა მივვემართა, ე. ი. იარაღი გვეხმარა. საქმე ასე უნდა მომხდარიყო, რომ მეგობრულს დამოკიდებულებას რუსეთთან, რომელიც ფრანგის გულს აიმედებს და ჰპირდება, უნდა საომრად გამოვეწვიეთ, რომელშიაც ჩვენ მოკავშირედ იქნებოდა გერმანია და მტრად კიდევ აღმოსავლეთის ის ერი, რომელიც ჩვენ შესახებ მცირე მეგობრულს გრძნობას იჩენს. მაგრამ მეორე მხრივ რუსეთთან კავშირს აუცილებელ საჭიროებადა სთვლის საფრანგეთი და ჰგრძნობს, რომ უნდა დაემორჩილოს უთუოდ, თუმცა იგი მეტად პარადოქსალურია. „ჩვენ რომ ამ დიპლომატიურ მოქმედებაში უარი განგვეცხადებინა რუსეთისათვის,—ამბობს „ფიგარო",—ან დავხმარებიყავით ამ მხრივ, მაგრამ, თუ ომი საჭირო იქნებოდა და ჩვენ-კი აქ უკან დაგვეწია, რომელიც ადვილი მოსალოდნელი იყო დიპლომატურ წარდგენათა სანქციით, ეს ის იქნებოდა, რომ ამ საქმისათვის რუსეთთან კავშირი უნდა გვემსხვერპლებინა და იქნება დღეს მეგობრულად დამოკიდებული სახელმწიფო მტრად გარდაგვექცია და ამით იგი გერმანიის მეგობრად გაგვეხადა.

მიუხედავად ამისა გაზეთი მაინც ლაპარაკობს, თუ საფრანგეთის პოლიტიკას რუსეთთან მეგობრულ დამოკიდებულების საქმეში რა აზრი

აქვს. „მე კარგად ვიციო, — ამბობს დელაფოსსი, — რა აზრი გვაქვს სხეში: ჩვენს აზრს შეადგენს ელზას-ლოტარინის დაბრუნება, რა გზითაც უნდა იყოს, მშვიდობიანად თუ იარაღით.“ ავტორი წერილსა ჰხსნის შურისძიების მოტივებს და იძლევა კითხვას, დაგვეხმარება თუ არა რუსეთი ამ აზრის განხორციელებაში. რუსთა და ფრანგთა კავშირი მართლა ნამდვილად ემსახურება ორივე სახელმწიფოთა ინტერესებსაო? ამ კავშირით რა ისარგებლა საფრანგეთმა? ავტორის აზრით — სრულიადაც არაფერი. იაპონიის საქმეში რომ საფრანგეთმა რუსეთთან ერთად მიიღო მონაწილეობა, ამით მას სრულიადაც არ გამოუთხოვნია პირობა, რომ რუსები უთუოდ მხარს დაუჭერდნენ საფრანგეთს გერმანიასთან ომში. ასევე განმარტოებულად მოქმედებს საფრანგეთის დიპლომატია ეგვიპტის პოლიტიკაში. რომ ნამდვილი ითქვასო, — ამბობს დელაფოსსი, — რუსეთსა და საფრანგეთს შორის კავშირი არ არსებობსო. „არსებობს მხოლოდ კეთილი, გულითადი მეგობრობა, რომელიც მხოლოდ დღითი-დღე იდგამს სულს და აძლევს მხოლოდ მიზეზს, რომ აღტაცებულად იყვირონ: კრონშტადტში — „გაუმარჯოს საფრანგეთსა!“ და პარიზში — „რუსეთს გაუმარჯოსო!..“ ამ მეგობრულ დამოკიდებულებას, როგორც დელაფოსსი ფიქრობს, პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ექნება, თუ გერმანია საფრანგეთს თავს დაესხმის, მაგრამ ეს არ მოხდებაო. ასეთის აზრისანი არიან ფრანგთა და რუსთა კავშირის შესახებ საფრანგეთის საზოგადოების ზოგიერთა ნაწილებში ამ უკანასკნელ შემთხვევათა გამო. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ შედარებით სულ ამ მოკლე ხნის დამოკიდებულებასთან დიდი ცვლილება მომხდარა.

## ბიბლიოგრაფია.

ჩვენ მივიღეთ წიგნი „სიღნაღის მაზრაში. აგრონომის შენიშვნები, ა. ს. ფირალოვისა. წიგნი შეიცავს შემდეგ შინაარსს: სასოფლო მეურნეობის ზოგიერთი თვისებანი ადგილ-მდებარეობის მიხედვით, — ზოგი-რამ სხვა-და-სხვა კულტურის შესახებ. — ხვნათესვის დიდი მნიშვნელობა. — ვენახები და სახნავი მიწები. — საავარაკო ადგილები. — პურის მცენარეულობა. — გაზაფხულის ნათესების კულტურა ძნელდება. — გლეხთა მეურნეობის ბატონობა. — მეურნეობის სისტემა, — მიწათ-მოქმედების სისტემა — სახნავ მიწების ძალით მფლობელობა აფერხებს მიწების შესვენებას. — საქონლის მოშენების დაცემა, როგორც ნიშანი მიწათ-მოქმედების სისტემის დაძველებისა. — თესვა. — ნიადაგის შემუშავება. — როგორ მუშაობს ქართული გუთანი, — ხვნის სიძნელე ხელს უშლის მეურნეობის თავისუფალს განვითარებას. — გაუმჯობესებული გუთნები. — ნათესები და მათი აღმოცენება. — 1892 წლის მოუსავლობა. — ნათესების სიხშირე. — მოსავლიანობა და შემოსავალი ხორბლის კულტურისაგან. — სამკალი მანქანები. — პურის გასყიდვა. წიგნი შეიცავს 24 გვერდს.

## შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულის ლატარია-ალეგრისათვის, გარდა უკვე აღნიშნულთა ჩვენის გაზეთის წინა №№-ში, შემოწირულ იქმნა: ანდრია კობაიძისაგან წუდამესტები და ტყავის ჩანთა და ფილიპე გურულისაგან ერთი წყვილი ვერცხლის ღილი,

# განცხადებანი


### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბაკინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ახალი გამოცემანი:

### სამზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

ფასი მანეთ ნახევარი.

### ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

მოსამზადებელი სასწავლებელი

### ი. პ. როსტომაშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის სამართველოში და ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

### საქართველოს ისტორია

შემოკლებული და შევსებული მოსე ჯ. ჯანაშვილის მიერ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა ფასი 70 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება

ვალერიან გუნიას მიერ

შედგენილი და გამოცემული

### საქართველოს კალენდარი 1895 წ.

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით, ფასი 50 კაპ.

### უბის წიგნი 1895 წ.

მშვენიერს ყდაში და ყურანდაშით, ფასი 30 კაპ.

### საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული, ფასი 10 კაპ.

### სახალხო კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული, ფასი 5 კაპ.

### ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სახალხო გამოცემა, ფასი 15 კაპ.

### ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები ა. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირი (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის საფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუღდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—9).

დამზღვევი საზოგადოება

### „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც — 10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Мая 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე